

F) 511-083

F1679, 19572

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედიონთა ჰიმოზრაფია



საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ლეაბრტამენტის ყოველთვიური გაგებით * 1998 წლის აპრილი №1 ფასი 40 თეთრი



მახარობელი

წუსელის ბიჭი დაბადებულა,
 გადაჭარებდად თუ არ ჩამითვლით,
 ისეთი ბიჭი დაბადებულა,
 დაურქმევიათ თურმე დავითი!
 წუსელის ბიჭი დაბადებულა,
 დაურქმევიათ იმისთვის ცოტნე,
 შენ, ორგულობავ, აბა გაბედე
 და გული ჩვენი ისევე კორტნე.
 წუსელის შოთაც დაბადებულა,
 დაბადებულა თურმე დემეტრე,
 განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
 რა სისარული გამოიმეტე!
 წუსელ ცის კარი ცხრავე გააღო
 ეველა გმირმა და თავდადებულმა:
 დაბადებულა თურმე ვახტანგი,
 წუსელ თევდორე დაბადებულა.
 საქართველოს ცა, ისეც მაღალი,
 უფრო მეტად ამაღლებულა,
 დაბადებულა მთვარე გიორგი,
 თურმე ილია დაბადებულა!
 წუსელის მტერი
 ერთპირად ჩვენი
 მოხპობის მდომი დადარდებულა;
 დაბადებულა თურმე სულხანი,
 გრიკოლ სანძთელი დაბადებულა,
 დაბადებულა ბიჭი ჰაატა.
 გათენებულა წუსელის თეთრად:
 დაბადებულა სამასი გმირი,
 ვით დაიხოცნენ,
 ისევე ერთად!

 წუსელის გოგოც დაბადებულა,
 ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
 ისეთი გოგო დაბადებულა,
 დაურქმევიათ თურმე თამარი.
 დაბადებულა წუსელის ნინო
 და ქეთევანი დაბადებულა.
 ის ბნელი დამე თურმე უეცრად
 ციურის ნათლით განათებულა.
 ეველა ზღაპარი ნაოცნებარი
 ახდენილა და გამართლებულა:
 დაბადებულა თურმე ნესტანი
 და თინათინი დაბადებულა.
 და კიხაროდენ!
 ქართველთა შორის
 ღვიძლ მშათა სიდი კვლავ გადებულა.
 და ერთიანი, ნანატრი დროის,
 ქართლი ხელახლა დაბადებულა!

მოსახლეობის ბოლო, 1989 წლის საყოველთაო აღწერიდან უკვე ათი წელიწადი გავიდა.

ყოველი ათწლეული ერის ისტორიის ცალკე მონაკვეთია.

ეს 10 წელიწადი ეპოქალური იყო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო გახდა და მყარად ჩაღმა მსოფლიო თანამეგობრობაში, როგორც სწორი სწორთა შორის. ეს აღწერა პირველია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

ამავე დროს, ქვეყანამ განიცადა მძიმე კატაკლიზმები: ომი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, უმწვავესი სოციალური და ეკონომიკური კრიზისები, კრიმინალური სამყაროს აღზევება, ღალატი.

მაგრამ იგი გამოვიდა უმძიმესი შოკიდან, შეუძლებელი შეძლო – უმოკლეს ვადაში ფეხზე დადგა, აღმშენებლობას შეუდგა.

მოსახლეობის ამჟამინდელი აღწერა შეაჯამებს ქვეყნის ბიოგრაფიის ამ ბოლო, ურთულეს მონაკვეთს და დაგვანახებს: რამდენი ვართ, რანი ვართ, როგორები ვართ, რა ადამიანისეული რესურსები გავაჩნია, რისი გაკეთება შეგვიძლია. ამის გამოკვეთა, ამის განსაზღვრა აუცილებელია, რათა ქვეყანამ მესამე ათასწლეულში მეტი იმედით, მეტი სინათლით შეაბიჯოს...

ე.წ. მელიქიძე



ეროვნული გიგლიროთეკა

რაოდენი ვართ, რანი ვართ, როგორები ვართ...

სიფყვა მკითხველს

გაზეთების იმ ზღვას, რომელშიც დღეს ჩვენი საზოგადოებრიობა იხრჩობა, კიდევ ერთი წვეთი – ახალი გაზეთი რომ მიუმატო, დიდი გამბედაობა უნდა გქონდეს.

ჩვენ, ამ კიდევ ერთი წვეთის – ახალი გაზეთის რედაქციას, გვაქვს ეს გამბედაობა და ახლა მკითხველს წარვუდგენთ ჩვენს ნამუშავეს, თანაც იმ იმედით, რომ იგი უთუოდ წაიკითხავს მას.

„მილიონთა ბიოგრაფია“ არ არის დღეს ასე გასაყოველთაოებული „საზოგადოებრივი – პოლიტიკური გაზეთი“, თუმცა სწორედაც რომ საზოგადოებრივი – პოლიტიკური დანიშნულება აქვს.

არც საუწყებოა, თუმცა ერთი კონკრეტული უწყების – სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გაზეთია.

მას მკაცრად გამოკვეთილი ანფაზის და პროფილი აქვს:

მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელ სამუშაოთა მაღალ დონეზე შესრულებას, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლას უნდა შეუწყოს ხელი.

ამდენად, დანიშნულება კეთილშობილურია.

არ შეიძლება მომავალი აღწერა თითოეული ჩვენგანის ცხოველ ინტერესს არ იწვევდეს. ზუსტად და ნათლად ბრძანებს ბატონი ედუარდ შევარდნაძე, როცა თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამ მასშტაბური ღონისძიებისადმი: მოსახლეობის ამჟამინდელი აღწერა შეაჯამებსო უკანასკნელ ათწლეულს – ქვეყნის ბიოგრაფიის ბოლო მონაკვეთს და დაგვანახებს რამდენი ვართ, რანი ვართ, როგორები ვართ, რა ადამიანისეული რესურსები გავაჩნია, რისი გაკეთება შეგვიძლია. ამის გამოკვეთა, ამის განსაზღვრა აუცილებელია, რათა

ქვეყანამ მესამე ათასწლეულში მეტი იმედით, მეტი სინათლით შეაბიჯოსო.

რამდენი ვართ, რანი ვართ, როგორები ვართ, რისი გაკეთება შეგვიძლია...

ეს კითხვები, ალბათ, ერთნაირად გვაღელვებს ყველას, ვისაც საერთოდ ქვეყნის მომავალი გვაღელვებს და გვაფიქრებს – პოზიციასაც, ოპოზიციასაც, ზომიერებსაც, რადიკალებსაც, ერსაც და ბერსაც...

საქართველო მესამე ათასწლეულის მიჯნასთან დგას. გამორჩეული, განსხვავებული, უჩვეულო, შფოთიანი და გამირულია მეორე ათასწლეულის ბოლო ათწლეული ჩვენი ქვეყნისთვის. ბევრი რამ მოვიპოვეთ.

ბევრიც დავკარგეთ.

დღეს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეჩუდნის“, დავებრუნეთ ორი საუკუნის წინათ დაკარგული დამოუკიდებლობა, გავიცნობიერეთ, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს კბილებით დაცვა სჭირდება (გავიცნობიერეთ, მაგრამ ჯერ ვერ ვისწავლეთ სამშობლოსთვის სიკვდილი).

გვეყვას პრეზიდენტი და პარლამენტი. გვეყვას საკუთარი არმია.

გვეყვანან ელჩები უცხოეთის ქვეყნებში და გვეყვანან უცხოეთის ქვეყნების ელჩები. ჩვენი წარმომადგენელი გაეროს ტრიბუნლიდან ამბობს სიტყვას. გვაქვს საკუთარი კონსტიტუცია. გვაქვს ეროვნული ვალუტა. მიტინგებიდან საქმის კეთებაზე გადავდით... ეს ყველაფერი ამ ათწლეულში მოხდა. ეს ყველაფერი ამ ათწლეულის მონაპოვარია.

ოღონდ: ამავე პერიოდში მოვახერხეთ გათითოვაცება, საკუთარ ნაჭუჭში შეკრუვა და საკუთარი ნამცეცხა ინტერესების გაფეტიშება, „ისტებად“ დაყოფა და ერთმანეთისგან ბარიკადებით გათიშვა, ერთმანეთის სისხლით ხელების გასვრა, ერთმანეთის და ქვეყნის ძარცვა, რაც მთავარია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მისი შაგრენის ტყავით შემცირება. ჩასაფრება და მთავარი სამიზნის – პრეზიდენტისათვის სროლა. ესეც ამ ათწლეულის „მონაპოვარია“.

და ახლა, როცა მესამე ათასწლეულის ზღურბლს მივადექით, უნდა გავიცნობიეროთ: რამდენი ვართ, რანი ვართ, როგორები ვართ, რისი გაკეთება შეგვიძლია, თუ გვინდა ქვეყანა ვიყოთ, ერი ვიყოთ, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიყოთ – იმედია, მომავლიანი, სახელიანი. აღწერა, როგორც სარკე, დაგვანახებს ჩვენს სახეს და საშუალებას მოგვცემს საღებულები დავიდოთ ჩამოკაწრულ და ჩაღურჯებულ დაწვებზე; საშუალებას მოგვცემს მესამე ათასწლეულში მეტი იმედით, მეტი სინათლით შევაბიჯოთ – ესეც ბატონი პრეზიდენტის სიტყვებია. უფრო მორგებულად, ზუსტად და ნათლად ვერ იტყვი. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა მილიონთა ბიოგრაფიას წარმოაჩენს (სახელწოდება აქედან გვაქვს ადებული). ჩვენი გაზეთი მოწოდებულია იყოს ამ აღწერის მედროშე (ძველმოდურად კი ქუდურს, მაგრამ არსს ზუსტად გამოხატავს). „მილიონთა ბიოგრაფია“ მკითხველის სამსჯავროს გამოდის. „მილიონთა ბიოგრაფია“ მკითხველს ელის...

როგორ მივლინაოვს მოსაგზავნი საშუალოა?

გაიმართა საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის მორიგი, მესამე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლევიშვილი. კომისიამ მოისმინა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თეიმურაზ ბერიძის ინფორმაცია მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად მოწყობას გარკვეულად აფერხებდა არააღმართებული დაფინანსება.

გადაწყდა: საქართველოს ფინანსთა მინისტრომ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, ზუსტად გაიგონათ მოსახლეობის აღწერის მომზადებაში წარმართვისა და მისი მასალების დამუშავებისათვის საჭირო თანხის ოდენობა უზრუნველყოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის მათი დროული შეუფერხებელი გამოყოფა სამუშაო ეტაპების მიხედვით (ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა).

ამასთან, აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს გარკვეული სამუშაო აღწერის მოსამზადებლად. საბოლოო საბოლოო საბოლოო მეთოდოლოგიურმა ბაზამ მაგრამ არააღმართებული მდგომარეობაა ზოგიერთ რეგიონში პირველი რაიონების სამუშაოების კალენდარული ვადების დადგენა, არასაკმარისია ადგილობრივი მნიშვნელობითი ორგანოებისა და აღწერის აღმასრულებელი საორგანიზაციო კომისიების ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრელად.

კომისიამ გრძელვადიანი დადგინა, რომ საჭიროა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რეგიონების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ-დასავლეთის რაიონულმა მმართველობის ორგანოებმა, გადამჭრული ზომები მიიღონ მათ სამომავლო ტერიტორიაზე აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების კალენდარული ვადების მკაცრი დაცვის უზრუნველსაყოფად აქტიური დახმარება გაუწიონ სტატისტიკის ორგანოებს ქალაქ-დასახლებებში სახელმწიფო და სოფლის დასახლებული პუნქტების შედგენაში, წლის მეორე ნახევარში სააღწერო მასობრივი კადრების შერჩევა, წინასააღწერო და აღწერის პერიოდში რეგიონული სტატისტიკის ორგანოების შირგამბეჭდვითი საშუალებებით, ავეჯით ინვენტარით აღჭურვილი ოთახებით, მათთვის აღწერის ნორმალურად მომზადება წარმართვისათვის. სხდომამ დაადგინა, რომ აღწერა განხორციელდეს პრეზიდენტის ბრძანებულად საფუძველზე და დაამტკიცა მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის საორგანიზაციო სახელმწიფო კომისიის სამუშაო გეგმა.



პილიტომა პილიტომა

დაპოუკიდებელი საქართველო ორი ათასწლეულის მიჯნასთან

1999 წელი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა

მოსახლეობის აღწერის საწყისები მრავალ ისტორიულ წარსულში უნდა იქნებოდა. ამაზე მიუთითებს ახალი აღთქმაში ქრისტეს შობის ფაქტი უთლებში: „ეს აღწერა პირველი იყო სეინოსის მმართველობისას სირიამ“ (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკპოლმი, 1991, გვ. 112)

სამოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად სულ უფრო საჭირო ხდებოდა მოსახლეობის აღწერა.

კავშირის ფარგლებში მოხდა 1989 წელს. განვიხილოთ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა არსებითი ძვრები მოსახლეობის სოციალურ, პროფესიულ, სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში, 1989 წლის შემდგომ პერიოდში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა. იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა

წარმოშობითა და განვითარებით, თხოულობს მუსხ და ყოველმხრივ მონაცემებს მოსახლეობის რიცხოვნობაზე, შემადგენლობასა და მათ განლაგებაზე პროფესიისა და საქმიანობის ნიშნით. მოსახლეობის ნაწილისათვის ცხოვრების პირობების გარკვეულმა გაუარესებამ არსებითი გავლენა მოახდინა მოზადობასა და სიკვდილიანობაზე ე.ი. მის ბუნებრივ მოძრაობაზე.

რთულ სტატისტიკურ სამუშაოს. იგი არის სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვება, რომელმაც უნდა მოგვეს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ერთდროული, მომენტალური სტატისტიკური სურათი.

მოსახლეობა რიცხოვნობისა და შემადგენლობის მიხედვით განიცდის მუდმივ ცვლილებას, ათასობით ადამიანი გადადის ერთი ადგილიდან მეორეში სხვადასხვა მიზეზით, როგორც სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სოფლიდან ქალაქად გადასვლა, სასწავლებლად წასვლა, იძულებითი გადაადგილება; განუწყვეტელი მიმდინარეობს დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების და განქორწინების აქტები, ამიგომ აუცილებელი ხდება მიმდინარე აღრიცხვის მონაცემების პერიოდული შემოწმება. მხოლოდ აღწერას, რომელიც მოხდება ქვეყნის მთელი მოსახლეობის გამოკითხვის გზით, ერთი და იგივე თარიღისათვის, ერთიანი პროგრამითა და გეგმით, შეუძლია დაადგინოს მოსახლეობის მუსხ რიცხოვნობა და შემადგენლობა.

წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა აღწერის მკაცრი ცენტრალიზაცია; გამოიყენება ერთიანი სტატისტიკური ინსტრუმენტარია. გაეროს რეკომენდაციებით გათვალისწინებულია მოსახლეობის აღწერის მთელი სამუშაოების დაყოფა სამ ძირითად ეტაპად:

პირველი – წინასააღწერო (მოსამზადებელი) ეტაპი, რომელიც მოიცავს 1995 – 1998 წლებს. მეორე ეტაპი – უშუალოდ მოსახლეობის აღწერა, ყველაზე მოკლევალიანია და საპასუხისმგებელი პერიოდი, რომელიც მოიცავს თვით აღწერას, საკონგროლო ღონისძიებებს და მასალის მოზიდვას გამოთვლით ცენტრში – 1999 წლის იანვარ-მარტში. უკანასკნელი მესამე ეტაპია – აღწერის შემდგომი დროული პერიოდი – 1999 – 2001 წ.წ., რომელიც ითვალისწინებს გამოთვლითი ცენტრის დაკომპლექტებას კადრებით და გექნიკით აღჭურვას, აღწერის მასალების დამუშავებას და საბოლოო სახით ცხრილების შედგენას, მათ პუბლიკაციას და ანალიზს.

მოსახლეობის მეცნიერულად ორგანიზებული აღწერების ისტორია XIX საუკუნიდან იწყება. ევროპის ქვეყნებში შუადროებით, ამიის სახელმწიფოებში რამდენიმე გვიან შეუდგნენ მოსახლეობის ახლებური წესით აღწერას.

რუსეთში მოსახლეობის პირველი საყოველთაო საიმპერიო აღწერა 1897 წელს მოხდა.

მოსახლეობის აღწერების განვითარების ისტორიაში თავისი სიგვეა თქვა საბჭოთა პერიოდში წარგებულმა ექვსმა აღწერამ.

განვითარების მიმდინარე ეტაპზე მხოლოდში არ არსებობს ცოგად თუ მეორად ცივილიზებული ქვეყანა, სადაც მოსახლეობის აღწერის პრაქტიკა დაწერული არ იყოს.

გაეროს რეკომენდაციით, მიზანშეწონილია ყველა ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა მოხდეს არა ნაკლებ 10 წელიწადში ერთხელ.

საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 20 ნოემბრის №488 და 1997 წლის 15 ივნისის №307 ბრძანებულებებით, 1999 წლისთვის გათვალისწინებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.

ამასთან, აღწერის მონაცემები არის საფუძველი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტების განგარიშებისათვის, სოლო ცნობები მიგრაციის შესახებ – მოსახლეობის მოზავალი რიცხოვნობის შეფასების, მისი ეროვნულ დონეზე განაწილებისა და სხვა დახასიათებისათვის.



ეროვნული სტატისტიკური სისტემის ჩარჩოებში აღწერა უზრუნველყოფს ინფორმაციას ფართო წრისათვის, იძლევა მოსახლეობის დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური დახასიათების შესწავლისათვის სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევის საფუძველს, რომელთა რიცხვშია შრომითი რესურსების, არსებული დემოგრაფიული და სოციალური სიტუაციის შეფასება, სოციალური დაცვის პროგრამების დამუშავება.

მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და

მოსახლეობის აღწერა, როგორც სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება, სტატისტიკური მეცნიერების წესებისა და მოთხოვნების მკაცრ დაცვას საჭიროებს.

როგორც ყველა სტატისტიკური დაკვირვება, მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და რთულ სტატისტიკურ სამუშაოს. იგი არის სპეციალურად დაკვირვება, რომელმაც უნდა მოგვეს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ერთდროული, მომენტალური სურათი.

მომავალი აღწერა თითოეული სახელმწიფო მოღვაწისა და სტატისტიკური ორგანოსაგან დიდ ძალისხმევას და დამბულ მუშაობას მოითხოვს. იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოვეყიდებით ყოველი ჩვენგანი შემოთაღნიშნული ბრძანებულებებით გათვალისწინებული ყველა პუნქტის ვადაზე და ხარისხიანად შესრულებას, დიდად იქნება დამოკიდებული



მოსახლეობის ბოლო აღწერა საქართველოში ყოფილი საბჭოთა

მეგ-ნაკლებადასაქართველოს თითქმის ყველა რეგიონს შეეხო. ამდენად, მოსახლეობის მოზავალი აღწერა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას იქნს. მოსახლეობის მოზავალი, 1999 წლის აღწერა დიდი მოვლენა იქნება ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ჯერ ერთი იმიგომ, რომ იგი პირველად ხდება ჩვენს ქვეყანაში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მეორეც, ეს აღწერა ემთხვევა მეორე ათასწლეულის დასრულებას და მესამე ათასწლეულის დაწყებას.

ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების რთული პროცესების კოორდინაცია, პრინციპულად ახალი ეკონომიკის ფორმირება, მოსახლეობის ახალი ჯგუფების

მოსახლეობის აღწერა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და რთულ სტატისტიკურ სამუშაოს. იგი არის სპეციალურად დაკვირვება, რომელმაც უნდა მოგვეს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის ერთდროული, მომენტალური სურათი.

აღწერაც გარდა წინასწარ დეკლარულად დამუშავებული გეგმის მიხედვით. იგი პროგრამულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას მოიცავს. ორგანიზაციულ საკითხებს, როგორც წესი, მიეკუთვნება აღწერის ადგილის, დროის და ვადის დადგენა, აღწერის პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა, სააღწერო პერსონალის შერჩევა, სწავლება და ინსტრუქტაჟი, აღწერის ფორმულირებისა და სხვა ინსტრუმენტარის შედგენა, გამრავლება და დაგზავნა, აღწერის მასალების მიღება, დამუშავება და სხვა პრაქტიკული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის აღწერის მომზადებასა და ჩატარებასთან.

ინსტრუქტია მოსახლეობის აღწერის და სააღწერო დოკუმენტაციის შევსების წესის შესახებ ითვალისწინებს მოსახლეობის აღწერას საცხოვრებელი, თუნდაც დროებითი ადგილის და არა სამუშაო ადგილის მიხედვით. აღწერის მოსაწყობად დადგენილია 8 დღე, 20 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით, კრიტიკულ მომენტად განსაზღვრულია 19 იანვრის ღამის 12 საათი.

შემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვეყოთ აღწერის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები: მოსახლეობის აღწერა საყოველთაოა, ერთმომენტული; საფუძვლად ედება ერთიანი პროგრამა; მისი დამახასიათებელი ნიშანია სახელობითობა ე.ი. დაკვირვების ერთეულია თითოეული ადამიანი; აღწერის

აღწერის წარმატება, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი რეგიონების მიხედვით განაწილების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა საკითხების შესასწავლად, ქვეყნის ეკონომიკის უკეთ საქართველად.

თიმიშურაზ ბერიძე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.



საქართველოს მოსახლეობა (ათასებში) აღწერათა მიხედვით:		
1897 წ.	—	1894
1926 წ.	—	2677
1939 წ.	—	3540
1959 წ.	—	4044
1970 წ.	—	4680
1979 წ.	—	5015
1989 წ.	—	5443

და ყოველივე ესე იყო

ქართული
ჟურნალი

იღვა რომის დაარსებიდან 754 წელი.
 მოახლოებულიყო უამო წინასწარმეტყველების აღსრულებსა...
 ხოლო ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო სიტყვა უფლისა, წინასწარმეტყველის მიერ თქმული:
 „აჰა, ქალწული მუცლად იღებს, და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ეშხაშუელს, რაც თარგმანებით ნიშნავს: „სვენთან არს ღმერთი.“

გადმოვა შენსე, და უხენაესის ძალა მოვირდილებს შენ. და ამიტომაც ღმერთის ქედ იწოდება წმიდა შობილი. და, აჰა, ელისაბედმაც, შენმა ნათესაემ, მუცლად იღო ძე სიბერის უამს, და ეს მეექვსე თვეა მისთვის, ვინც უნაყოფოდ იყო ხობილი. რადგან ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი!
 იოსებმა დანიშნულის ფეხმძიობის ამბავი რომ შეიტყო, მისი ფარულად გაშვება განიზრახა. ეს რომ დააპირა, უფლის ანგელოზი

თანამად ფიცისა, რომლითაც შეგვიცა მამას ჩვენსას აბრაამს, რომ მოგვეცემს ჩვენ, მას შემდეგ, რაც დავგვისნის ჩვენი მტრების ხელიდან.
 მის მიმართ უშიშრად და მის წინაშე სიწმინდითა და სიწმინდით მსახურების ნებას.
 მოთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე.“
 იმხანად პალესტინა რომის იმპერიის გამგებლობაში შედიოდა და ერთობ დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხალხს ორმაგი უღელი ედგა კისერზე. მართალია, მათ ჰქავდათ თავისი მეფე ჰეროდე დიდი. მაგრამ მისი უფლებები შეზღუდული იყო, არ შეუძლო, ვთქვათ, ხელშეკრულებების დადება (რომის კეისართან შეუთანხმებლად), ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა და ა. შ.

შირდება იერუსალიმის ტაძრის დასრულება.
 „იმ დღეებში გამოქვეყნდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება, აღწერა საქარებინათ მოელს ქვეყანაში.“
 „მოელს ქვეყანაში“ რომის იმპერია იგულისხმება, ხოლო ბრძანების გამოქვეყნება იუდეას ეხება, რადგან რომში ეს ბრძანება ადრევე გახდა ცნობილი.
 „ეს იყო პირველი აღწერა სირიაში კვირინიუსის გამგებლობისას.“
 შემდეგ მას სხვა აღწერები მოჰყვა. ყველა იხინი თვისობრივად განსხვავდებოდნენ ისტორიულ წყაროებში დამოწმებული ებრაელი ხალხის აღწერებისაგან (მოსეს, უბრას, დავითის და ა. შ.) თუ ადრე ხალხის აღწერა მათ ძლიერებას და ქვეყნის დაცვას ემსახურებოდა, რომელთა გამგებლობისას პალესტინაში აღწერა ხარკის განსახდვრას ისახავდა მიზნად. უნდა აღრიცხულიყო არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა, არამედ მათი უძრავი ქონება.

პატივს სცემდნენ თავიანთ წარმომავლობას, რაზეც მათეს და ლუკას სახარებებში მოცემული თაობათა ჩამოთვლაც მიუთითებს.
 „და ყველამ ვაგათავის ქალაქშია შურა ჩასაწერად. წავიდა იოსებიც გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან, იუდეაში, დავითთა ქალაქში, რომელსაც ჰქვიბეთლემი, ვინაიდან დავითის სახლისა და გვარისა იყო, რათა ჩაწერილიყო მარიამთან, თავისი დანიშნულთან ერთად, რომელიც ფეხმძივდ იყო. და იქ ყოფნისას მოიწია მისი მშობიარობის უამინა და შობა ძე თვისი პირმშო, ჩერებში შეახვია და ბაგაში ჩააწერინა ვინაიდან ფუნდუკში აღილი იყო მათთვის.“



მოახლოებულიყო უამო წინასწარმეტყველების აღსრულებსა...
 გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწული მარიამი იოსებზე ჯვრის დასაწერად ემზადებოდა. იოსები დავითის მოდგმას ეკუთვნოდა და წარმოშობით მისი ქალაქიდან, იუდეას ბეთლემიდან იყო. იმხანად კი ნაზარეთში სამუშაოდ იმყოფებოდა.
 „და გამოეცხადა ქალწულ მარიამს ანგელოზი და უთხრა: გიხაროდეს მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ ასულთა შორის, რადგანაც პოვე მადლი ღმერთის წინაშე. და აჰა, მუცლად იღებ, და შობ ძეს, და უწოდებ მას სახელად იესოს. დიდი იქნება იგი, და უხენაესის ქედ იწოდება და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს. და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა!“
 მარიამმა გაიოცა: როგორ იქნება ეგ, მამაკაცი რომ არ ვიცი? „ხოლო ანგელოზმა მიუგო: სული წმიდა

გამოეცხადა სიზმარში და უთხრა: „იოსებ, დავითის ძეო, ნუ შიშობ, მოიყვანო მარიამი, ცოლი შენი: რადგან ვინც მასში ჩასახულია, ხული წმიდისაგან არის და შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს (რაც ებრაულ ენაზე ნიშნავს – „უფალი გვიხსნის“) რადგან ის იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან.“
 მოახლოებულიყო უამო წინასწარმეტყველების აღსრულებსა...
 „კურთხეულია უფალი ღმერთი ისრაელისა, ვინაიდან მოხედა და იხსნა თავისი ხალხი. და აღვიმართა რქა ხსნისა თავისი მონის, დავითის სახლში. როგორც გვაუწყა თავის წმიდა წინასწარმეტყველთა პირით, რომელნიც უკუნისიდან იყვნენ: რომ გვიხსნის ჩვენი მტრებისაგან და ყველა ჩვენი მოძულის ხელიდან; რომ მოწყალე იქნება ჩვენი მამების მიმართ, და გაიხსენებს თავის წმინდა ატოქას;

ამასთან, თვით ჰეროდე ავგუსტუსმა დასვა მეფედ, მანამდე იგი მხოლოდ ტეტრარქად იხსენიებოდა და, ბუნებრივია, თავის ქვეყანაში მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო. გარდა ამისა, ჰეროდე დიდი ვაღდებული იყო ტახტის გამტკიცებისათვის თვითვე ეხრუნა. ამ მიზნით არაფერს ერიდებოდა და საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა (გავიხსენოთ მისი ბრძანება 2 წლამდე ურმათა გაწვევის შესახებ). ამიტომ, ბუნებრივია, ხალხს იგი არ უყვარდა, თუმცა მის სახელს უკავ

მკვლევართა აზრით, ლუკას სახარებაში აღწერის მოხსენიება ქრისტეს დაბადებისას ებრაელი ხალხის უკიდურესად დამცირებულ მდგომარეობას, მათ სრულ მორჩილებას უსვამს ხაზს.
 ებრაელები ტრადიციის ერთგულებით გამოირჩეოდნენ და დიდ

ასე იქცა ქრისტეს დაბადების აღგილად ბეთლემი, იერუსალიმიდან 3 საათის სავალზე მდებარე იუდეას ქალაქი, სადაც თავის დროზე რაქელმა შვა იაკობი, და სადაც დაიბადა და გაიზარდა დავითი, რის გამოც მას დავითის ქალაქადაც იხსენიებენ.
 აღსრულდა წინასწარმეტყველის მიერ თქმული:
 „და მისცემს მას ღმერთი მამისის დავითის ტახტს. და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა.“
 სინა მკვლევარ



დახან პითუა

სიტყვა ახალგაზრდობას

სამშობლოს, ერისა და ოჯახის გრძნობა არსებითად განუყრელია. და რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ოჯახის სიმტკიცეს, ჯანმრთელობასა და სიმრავლეს. ოჯახი არის ადამიანის პირველი უნივერსიტეტი და სადაც ასე არ არის, იქ ძირითადია დარღვეული. ოჯახის დანგრევა კი კიდევ ერთი ეროვნული ციხის დანგრევას უდრის. ეს არა მარტო ახალგაზრდობამ, არამედ მათმა დედ-მამამაც უნდა იცოდეს.
 ერთი საჭირობოლო სენი ჩვენს ოჯახსაც სჭირს. იგი შეიძლება ძირითადად მტკიცე იყოს, მაგრამ მასობრივად ნაკლებში ილიანია. მე ვფიქრობ, ეს არის ყველაზე უფრო დიდი პრობლემა ჩვენში. ჩვენ ერს სიზნობაში, უსახლ-კაროდ, ტყეში, მტრის მოძალებისას გამოუზრდია მრავალრიცხოვანი თაობა. ჩვენს ისტორიულ გადარჩენაში მრავალშვილიანობამ დიდი, იქნებ გადაამწყვეტი, ღვაწლი დაიღო. ცხრა მძა ხერხეულიძენი, განა მარტო გმირობისა და თავდადების მანერებელია, არამედ მძლავრ ოჯახისაც. ახლა რაღა მოგვივიდა, სადღა ქებული მრავალშვილიანობა? შვილების მიმე ანგარიში მაინცადამაინც ახალგაზრდობამ უნდა გამოავაროს.
 ახალგაზრდობა ბოლოსდაბოლოს დროებითი უპირატესობაა და მისი არმად გაშვება ეროვნული ენერჯის საძაველ გაფლანგვას უდრის.

ჩვენი ლექსიკონი

ალწერა-აღწერა

- ხათითაოდ ჩამოთვლის და სიას შეადგენს, აღწერას;
- დაწერილებით დაახასიათებს ვისმე ან რასმე, დაასურათებს;
- ძე-დაწერს, შეთხზავს.

აღწერა-აღწერა

აღრიცხვა - აღრიცხვაზე აიყვანს, რაიმე მიზნისათვის სპეციალურ სიაში შეიტანს.

აღრიცხავს - გაარკვევს რისამე რაოდენობას; დათვლის, იანგარიშებს, შეაჯამებს.

სტატიტიკა

(ლათ. „სტატუს“ - მდგომარეობა)

- მეცნიერება, რომელიც სწავლობს მასობრივ საზოგადოებრივ მოვლენ

რას წერდნენ გაზეთები 100 წლის წინათ

როგორც უკანასკნელი საერთო აღწერილობიდანა სხანს, ტფილისის მკვიდრთა რაოდენობა დასლოცებულ 160-165 ათასმდის უნდა იყოს.

საუოველთაო აღწერის ცნობებიდან სხანს, რომ ტფილისში 161 000 მცხოვრები უოფილა.

მცხოვრებთა რიცხვს გასულს წწ. უმატნია ტფილისში 972-ით.

პილიტონა ზოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველთვიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: პ. ბამსახურდიას პრ. №4

რედაქტორი ალექო ასლანიშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 26 თებერვალს